საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა ეხმიანება “თბილისი პრაიდის” ირგვლივ განხორციელებულ შემაშფოთებელ ძალადობრივ ქმედებებს.

აღმაშფოთებელია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ უზრუნველყო ფესტივალის კერძო ტერიტორიაზე დაცვა და მშვიდობიანი ჩატარება.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი საქართველოს ეროვნული პლატორმა პროტესტს გამოხატავს ძალადობრივი ჯგუფების მიმართ პოლიციისა თუ სხვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გამოვლენილი დამოკიდებულების გამო.

მაშინ, როდესაც „თბილისი პრაიდის“ მიერ ჩასატარებელი ღონისძიების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობრივი მოქმედებების ორგანიზატორები ღიად მოქმედებდნენ და მოქმედებენ, დაუშვებელია სამართალდამცავების უმოქმედება, რაც მათ აშკარა წახალისებას გულისხმობს.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა მოუწოდებს სამართალდამცავ ორგანოებს, დროულად გამოიძიოს ჩადენილი ქმედებები და გამოავლინოს ორგანიზატორები, რათა დაცულ იქნას თითოეული მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები და ქვეყნის დემოკრატიულობა.